ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლინების გარანტიები

USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლინების გარანტიები

თბილისი
2020

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

კვლევის ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

კვლევის ავტორები: ლელა ტალიური
გიორგი ალავერდაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

სიჩუმის პერიოდი და აგიტაციის აკრძალვა 5

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი 9

ამომრჩევლის მობილიზება და პერიმეტრი 12

კონკრეტული ქვეყნები 14

შესავალი

წინამდებარე ტექსტი ყურადღებას ამახვილებს საარჩევნო კამპანიის ჩატარების ვადებსა და პირობებზე, ეძებს ზღვარს საარჩევნო კამპანიის წარმოებასა და ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლინებას შორის. კვლევაში, ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან,[1] შესწავლილი და გაანალიზებულია 17-ის კანონმდებლობა (ბულგარეთი, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, სლოვენია, ავსტრია, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, გერმანია, ხორვატია, ესპანეთი).

მიმოხილვა აჩვენებს, რომ ქვეყნები თავისუფალი საარჩევნო გარემოსა და კამპანიის წარმოებას შორის ბალანსის მისაღწევად სხვადასხვა მექანიზმს იყენებენ. ეს, ძირითადად, გულისხმობს: კენჭისყრის და კენჭისყრის წინა დღეს საარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით არსებულ შეზღუდვებს; საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და ეგზიტპოლის შედეგების საჯარო გამოქვეყნების აკრძალვას არჩევნების დღეს და არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე; რეგულირებებს ამომრჩევლის მობილიზების პროცესზე, კერძოდ, კენჭისყრის დღეს უბნებზე გარკვეული რადიუსის დაწესებას.

[1] ევროკავშირის წევრი ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ესპანეთი. Countries, European Union, ევროპის კავშირის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://europa.eu/european-union/about-eu/countries_en, განახლებულია: 02.04.20.

სიჩუმის პერიოდი და აგიტაციის აკრძალვა

სიჩუმის პერიოდის არსი

სიჩუმის პერიოდი გულისხმობს კამპანიის ჩატარების აკრძალვას დროის გარკვეულ მონაკვეთში, რათა მოქალაქეებს რეფლექსიის საშუალება მისცეს.[2] ამ დროს ნებადართული არ არის ამომრჩევლის დარწმუნება კონკრეტული კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ. ის განიხილება, როგორც გაციების ეფექტის („cooling off") მქონე მექანიზმი, რომელმაც ცხელი კამპანიის შემდეგ დაძაბულობის შემცირება და კონფლიქტების პრევენცია უნდა უზრუნველყოს.[3]

შესწავლილი **17** ქვეყნიდან ე.წ. „სიჩუმის პერიოდი" **13-ში** მოქმედებს: **ბულგარეთი, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვენია, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი და ხორვატია.**

სიჩუმის პერიოდი კენჭისყრის დღით მხოლოდ ესტონეთში შემოიფარგლება, დანარჩენ 12 ქვეყანაში კი ის არჩევნებამდე გარკვეული დროით (24 ან 48 საათით) ადრე წესდება.

სიჩუმის პერიოდთან დაკავშირებით იმსჯელა უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ.[4] მან აღნიშნა, რომ ეს მექანიზმი უზრუნველყოფს ამომრჩევლის ნების შეუბღალავ გამოხატვას და არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებას.[5] სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სიჩუმის პერიოდის ხანგრძლივობაზე და, ვინაიდან იგი მცირე დროით ზოგად აკრძალვას აწესებდა, გამოხატვის თავისუფლების პროპორციულ შეზღუდვად მიიჩნია.[6]

არსებობს არგუმენტი, რომ სიჩუმის პერიოდი აზრს კარგავს და არაეფექტიანია სოციალურ მედიაში საარჩევნო მესიჯების გავრცელე-

---

[2] Campaign Silence, ACE, The Electoral Knowledge Network, November 15. 2006, ace Project-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://aceproject.org/electoral-advice/archive/questions/replies/699408090, განახლებულია: 14.01.2020.

[3] Ibid.

[4] Decision 6/2007 (II.27) AB, Constitutional Court of Hungary, უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://hunconcourt.hu/uploads/sites/3/2017/11/en_0006_2007.pdf, განახლებულია: 14.01.2020.

[5] Ibid, გვ. 4.

[6] Ibid.

ბის მაღალი შესაძლებლობის პირობებში.[7]

სიჩუმის პერიოდში მედიისთვის დაწესებული შეზღუდვები

სიჩუმის პერიოდში მედიისთვის შეზღუდვები დაწესებულია 9 სახელმწიფოში (ბულგარეთი, უნგრეთი, მალტა, საბერძნეთი, ლიტვა, ლატვია, პორტუგალია, სლოვაკეთი, ხორვატია). დარღვევისთვის 5 სახელმწიფოში (ბულგარეთი, უნგრეთი, ლატვია, პორტუგალია, ხორვატია) გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, ხოლო 3-ში (მალტა, საბერძნეთი, ლიტვა) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. აღნიშნული მცირედ გადაცდომად (minor offence) არის მოხსენიებული 1 სახელმწიფოში (სლოვაკეთი). დარღვევების საქმეებს 3 შემთხვევაში (მალტა, საბერძნეთი, ლიტვა) უძღვება პროკურორი, 3-ში (ბულგარეთი, უნგრეთი, პორტუგალია) - საარჩევნო ადმინისტრაცია, ხოლო თითოში - კულტურის სამინისტრო (სლოვაკეთი) და ელექტრონული მედიის სააგენტო (ხორვატია). ლატვიაში პასუხისმგებლობის დაწესებისთვის კონკრეტული პირი არ არის განსაზღვრული.

საქართველოში საარჩევნო კამპანია იწყება კენჭისყრამდე 60 დღით ადრე.[8] არჩევნების დღეს აკრძალულია ფასიანი ან/და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში.[9] ამ მოთხოვნის უგულებელყოფისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით.[10]

სიჩუმის პერიოდში აგიტაციის აკრძალვა

სიჩუმის პერიოდში საარჩევნო აგიტაციის აკრძალვა საარჩევნო უბანსა ან მის მიმდებარედ მოქმედებს 13 ქვეყანაში: ბულგარეთი, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ლატვია, პორტუგალია, რუმინეთი, ავსტრია, ესტონეთი, ჩეხეთი და გერმანია. 5-5 სახელმწიფოში დარღვევისთვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული (უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, პორტუგალია, ავსტრია)

[7] Ibid.

[8] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[9] იქვე, 51-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

[10] იქვე, 83-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

და სისხლის სამართლის (მალტა, პოლონეთი, საბერძნეთი, პორტუგალია,[11] ესტონეთი) პასუხისმგებლობები. რუმინეთში დარღვევა მცირედ გადაცდომად (minor offence) მიიჩნევა, 3 სახელმწიფოში (ბულგარეთი, ჩეხეთი, გერმანია) კი კონკრეტული სანქციები განსაზღვრული არ არის.

საარჩევნო უბანზე აგიტაციის აკრძალვისთვის **6** ქვეყანა განსაზღვრავს კონკრეტულ რადიუსს. ეს ქვეყნებია: **ბულგარეთი, უნგრეთი, მალტა, პორტუგალია, რუმინეთი, ლიტვა, ლატვია.** მათგან: ბულგარეთში, ლიტვასა და ლატვიაში აგიტაცია აკრძალულია საარჩევნო უბნამდე **50 მეტრში**, უნგრეთში - **150 მეტრში**, ხოლო პორტუგალიასა და რუმინეთში - **500 მეტრში**.

ე.წ. პერიმეტრის მექანიზმთან დაკავშირებით საინტერესოა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - ბურსონი ფრიმანის წინააღმდეგ (Burson v. Freeman), 1992,[12] სადაც დადგინდა, რომ კამპანიის მასალის გავრცელება ან ტარება, აგრეთვე, კონკრეტული სუბიექტისთვის ხმის მიცემის მოწოდება შეიძლება შეიზღუდოს არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის გარშემო 100 ფუტის (დაახლოებით, 30 მეტრის) რადიუსში.[13] სასამართლომ აღნიშნა, რომ შტატს ჰქონდა მნიშვნელოვანი ინტერესი, დაეცვა კენჭისყრაში თავისუფლად მონაწილეობის უფლება, დაშინებისა და მოტყუების გარეშე.[14]

სასამართლომ 2018 წელს განიხილა კიდევ ერთი საქმე - მინესოტას ამომრჩეველთა ალიანსი მენსკის წინააღმდეგ (Minnesota Voters Alliance v. Mansky). სასამართლოს უნდა ემსჯელა, არღვევდა თუ არა მინესოტას კანონმდებლობა გამოხატვის თავისუფლებას, რომლის მიხედვითაც, აკრძალული იყო საარჩევნო უბანზე პოლიტიკური სუბიექტების ტანისამოსით მისვლა.[15] სასამართლომ აღნიშნა, რომ

[11] პორტუგალიაში განსაზღვრულია როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

[12] Burson v. Freeman, 504, U.S. 191 (1992), Justia, US Supreme Court, გვ. 193, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://supreme.justia.com/cases/federal/us/504/191/case.pdf, განახლებულია: 14.01.2020.

[13] Ibid, გვ. 210.

[14] Ibid, გვ. 211.

[15] Minnesota Voters Alliance v. Mansky, 16-1435, 585 US (2018), გვ. 9. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.supremecourt.gov/opinions/17pdf/16-1435_2co3.pdf, განახლებულია: 16.04.20.

მინესოტას კანონმდებლობა ძალიან ფართო მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვას „პოლიტიკური“.[16] ამიტომ, იგი არაკონსტიტუციურად მიიჩნია,[17] თუმცა მიუთითა, რომ საარჩევნო უბანზე, გონივრულობის ფარგლებში, შესაძლებელია გარკვეული საარჩევნო აქტივობის აკრძალვა.[18] სასამართლომ მოიყვანა მაგალითები აკრძალვის გონივრულობის ფარგლების წარმოსაჩენად, თუმცა დასძინა, რომ მათ მიღმა შტატს აქვს უფლება, სხვა შეზღუდვებიც დააწესოს.[19] მაგალითად, შეიძლება აკრძალვას დაექვემდებაროს კანდიდატის მხარდასაჭერად ან მის საწინააღმდეგოდ თვალსაჩინო მოწოდება, კანდიდატის ლოგო, სახელი, ნიშანი, ემბლემა, ქუდი ან მაისური.[20]

კვლევის ფარგლებში შესწავლილ **6** ქვეყანაში (მალტა, ესტონეთი, საბერძნეთი ჩეხეთი, საბერძნეთი, ავსტრია, პოლონეთი, გერმანია) საარჩევნო უბანზე აგიტაციის აკრძალვისთვის დაკონკრეტებული არ არის რადიუსი.

საქართველოში არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია.[21] წინააღმდეგ შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება 2000 ლარით.[22]

[16] Ibid, გვ. 13.

[17] Ibid, გვ. 19.

[18] Ibid, გვ. 18.

[19] Ibid.

[20] Ibid.

[21] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

[22] იქვე, 81-ე მუხლი.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი

საზოგადოებრივი აზრის კვლევა

საზოგადოებრივი აზრის კვლევა გულისხმობს ხალხის გამოკითხვას მათი პოზიციის გასაგებად ამა თუ იმ საკითხზე.[23] კვლევის თაობაზე ამომრჩევლის ინფორმირება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩვეულებრივ, იკრძალება.[24] ვადები განსხვავებულია. ბულგარეთში, ლატვიასა და სლოვენიაში მათი გამოქვეყნება იკრძალება არჩევნებამდე 24, ხოლო რუმინეთში - 48 სთ-ით ადრე. ჩეხეთში ეს რეგულირება არჩევნებამდე 3, ესპანეთში კი 5 დღით ადრე იწყებს მოქმედებას. პორტუგალიასა და ხორვატიაში ის მხოლოდ არჩევნების დღესაა შეზღუდული.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გავრცელების თაობაზე საინტერესო განმარტება გააკეთა უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ.[25] გასაჩივრებული იყო ნორმა, რომლის მიხედვითაც, არჩევნებამდე 8 დღით ადრე იკრძალებოდა საზოგადოებრივი აზრის გამოქვეყნება.[26] სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, ამ აკრძალვის მიზანი შეიძლება ყოფილიყო წინასაარჩევნო პროცესის შეუბღალავი წარმართვა, თუმცა მისი მიღწევა ასეთი მკაცრი შეზღუდვის გარეშეც შეიძლებოდა.[27] ამიტომ, სასამართლომ ეს რეგულირება არაკონსტიტუციურად მიიჩნია.[28]

ამავე საკითხზე იმსჯელა სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლომაც.[29] გასაჩივრებული იყო ნორმა, რომელიც არჩევნებამდე 7 დღით ადრე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქ-

---

[23] Cambridge Dictionary, ხელმისაწვდომია: https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/opinion-poll, განახლებულია: 24.04.20.

[24] Musial-Karg M., The Election silence in Contemporary Democracy, Questions about the Sense of Election Silence in the Age of Internet, Adam Mickiewicz University, გვ. 101. Researchgate-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y8rqfzjf, განახლებულია: 29.01.2020.

[25] Decision 6/2007 (II.27) AB. Constitutional Court of Hungary.

[26] Ibid, გვ. 6.

[27] Ibid, გვ. 8.

[28] Ibid.

[29] U-I-67/09, Up-316/09, 24 March 2011, Republika Slovenija Ustavno Sodisce, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ycsg4beb, განახლებულია: 14.01.2020.

ვეყნებას კრძალავდა.[30] სასამართლოს განმარტებით, შეზღუდვის მიზანს წარმოადგენდა ამომრჩევლისთვის მშვიდი გარემოს შექმნა,[31] თუმცა, მედიის ვალდებულებაა, ადამიანებს ინფორმაცია მიაწოდოს და, პირიქით, ამომრჩევლის უფლებაა, იყოს ინფორმირებული.[32] სასამართლოს მტკიცებით, შეზღუდვა მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგან საარჩევნო კამპანია არჩევნების წინა დღეს სრულდებოდა და ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება კვლავ რჩებოდა.[33] სასამართლომ აღნიშნა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია პლურალისტური მედიის არსებობა, რათა ამომრჩეველმა შეძლოს თავისი აზრის ჩამოყალიბება სხვადასხვა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.[34] საბოლოოდ, რეგულირება არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.[35]

საქართველოში კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღეს 20 საათამდე აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა.[36] ამ შემთხვევაში დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას 1500 ლარით.[37]

ეგზიტპოლი

ეგზიტპოლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამომრჩევლის პრეფერენციის იდენტიფიცირება მის მიერ არჩევანის გაკეთების შემდეგ.[38] იმავდროულად, ფარულობის პრინციპიდან გამომდინარე, პირი უფლებამოსილია, ეს ინფორმაცია არ გაამჟღავნოს.[39] ეგზიტ-

[30] Ibid, გვ. 2.

[31] Ibid, გვ. 6.

[32] Ibid, გვ. 7.

[33] Ibid.

[34] Ibid, გვ. 8.

[35] Ibid.

[36] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[37] იქვე, 82-ე მუხლი.

[38] Cambridge Dictionary.

[39] Code of Good Practice on Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, European Commission through Law (Venice Commission), Adopted by Venice Commission at its 52nd

პოლის შედეგების გამოქვეყნებამ არჩევნების დღეს მის დასრულებამდე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს იმ ადამიანზე, რომელსაც შედეგების გამოქვეყნების მომენტისთვის ხმა ჯერ არ მიუცია.

შესწავლილი სახელმწიფოებიდან 10 მათგანში (ბულგარეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, ლატვია, სლოვენია, პორტუგალია, ესპანეთი, ჩეხეთი, რუმინეთი და სლოვაკეთი) დარეგულირებულია როგორც ეგზიტპოლთან, ისე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აკრძალვები. მათგან 4-ში (ბულგარეთი, ლატვია, ჩეხეთი, სლოვაკეთი) გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, ხოლო 5-ში (პორტუგალია, ესპანეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, სლოვენია) - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. 1 ქვეყანა (რუმინეთი) დარღვევას მცირე გადაცდომად (minor offence) მოიაზრებს.

3 სახელმწიფო (უნგრეთი, გერმანია, ხორვატია) აწესებს აკრძალვებს ეგზიტპოლის შედეგების გავრცელებაზე. მათგან 2-ში (გერმანია, ხორვატია) განსაზღვრულია ადმინისტრაციული სახდელი, ხოლო 1-ში (უნგრეთი) კონკრეტულად არ არის გამოკვეთილი პასუხისმგებლობის ტიპი. დასახელებული სახელმწიფოებიდან დარღვევის საქმეს 4 შემთხვევაში უძღვება საარჩევნო კომისია, 7-ში - პროკურორი, 3-ში - შესაბამისი საბჭო, თითო-თითოში კი - ფედერალური ოფიცერი და ელექტრონული მედიის სააგენტო.

საქართველოში ეგზიტპოლის შედეგების გამოქვეყნება აკრძალულია კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე.[40] ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.[41]

Session (Venice 18-19 October, 2002), CDL-AD(2002)023rev2-cor, Strasbourg, 25 October 2018, გვ. 22, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y8ch6t8g, განახლებულია: 28.01.2020.

[40] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[41] იქვე, 82-ე მუხლი.

ამომრჩევლის ნების კონტროლი და პერიმეტრი

„Get Out the Vote" (GOTV) - ასე ეწოდება კამპანიას, რომლის მიზანიც არის პარტიის მხარდამჭერების გამოცხადების ზრდა საარჩევნო უბანზე, მათი წახალისებითა და დახმარებით.[42] ამომრჩევლის მობილიზება ხმის მიცემის მიზნით ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში. ამ მექანიზმის ინტერესი, ძირითადად, უბანზე მისული მოქალაქის ვინაობის დადგენა და, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მათი ნების კონტროლია.[43] ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსის თანახმად, ამომრჩეველთა სიები უნდა ქვეყნდებოდეს,[44] თუმცა არჩევნებზე მოსულთა სია - არა.[45] ამის მიზეზი ისაა, რომ კენჭისყრის დღეს უბანზე გამოუცხადებლობა შეიძლება პოლიტიკურ არჩევანზე მიუთითებდეს.[46]

ამომრჩევლის ნების კონტროლის ერთიანი უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს. იგი „ძირითადად ხორციელდება მსტოვართა საარჩევნო უბნებთან განლაგებით, რათა აღრიცხონ გამოცხადებულ მხარდამჭერთა რაოდენობა."[47] კონტროლის ფორმებს აგრეთვე წარმოადგენს საარჩევნო უბნებთან დიდი რაოდენობით ხალხის მობილიზება,[48] ამომრჩევლის მონაცემების და პოლიტიკუ-

---

[42] ACE, The Electoral Knowledge Network, Campaign Silence, Ace Project-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://aceproject.org/electoral-advice/archive/questions/replies/699408090, განახლებულია: 14.01.2020.

[43] „საიას განცხადება ამომრჩევლის ნების კონტროლთან დაკავშირებით", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2017 წლის 21 ოქტომბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ych5m73u, განახლებულია: 15.06.2019.

[44] Code of Good Practice on Electoral Matters. Guidelines and explanatory report, European Commission through Law (Venice Commission)Adopted by the Venice Commission at its 51st and 52nd sessions (Venice, 5-6 July and 18-19 October 2002), CDL-AD (2002) 23, Strasbourg, 30 October 2002, გვ. 14, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/090000168092af01, განახლებულია: 02.06.20.

[45] Ibid, გვ. 22.

[46] Ibid.

[47] Election Observation Mission of May 19, 2019, Monitorig Report of Pre-Election Environment, Election Day and Post-Election Period, GYLA, გვ. 4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/a5jfs6, განახლებულია: 24.04.20.

[48] International Election Observation Mission, Georgia, Parliamentary Elections, Second Round, 30 October 2016 Statement of Preliminary Findings and Conclusions, გვ. 2, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y8tetgt3, განახლებულია: 07.05.20.

რი პრეფერენციების მონიშვნა[49] და ამომრჩევლის არაფორმალური აღრიცხვა (tracking of voters).[50] ეს პრაქტიკა დისკომფორტს უქმნის და კონტროლის განცდას უჩენს, რაც ამცირებს დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევანის გაკეთების ალბათობას,[51] თესავს მათში შურისძიების შიშს.[52] შესწავლილ სახელმწიფოებში სხვადასხვა ფორმით იკრძალება ამომრჩევლის ნების კონტროლი, რომელიც ქვემოთ დეტალურადაა განხილული. ამგვარ აკრძალვას იყენებენ: ბულგარეთი, უნგრეთი, მალტა, საბერძნეთი, ავსტრია და გერმანია. ამ უკანასკნელის გარდა, ყველა დანარჩენი დარღვევისთვის ითვალისწინებს სანქციის გარკვეულ ფორმას. საქართველოში ასეთი რეგულირება არ არსებობს.

[49] Georgia Presidential Election, 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report, გვ. 2, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yd5rqz8v, განახლებულია: 07.05.20.

[50] Ibid, გვ. 3.

[51] II ტურის გამოწვევად საია და ISFED კვლავ ამომრჩევლის ნების კონტროლს ასახელებენ, ნეტგაზეთი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/370880/, განახლებულია: 24.04.20.

[52] International Election Observation Mission, Georgia, Presidential Election, 28 October 2018 Statement of Preliminary Findings and Conclusions, გვ. 2, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ycfymuoo, განახლებულია: 07.05.20.

კონკრეტული ქვეყნები

ბულგარეთი

სიჩუმის პერიოდი: ეროვნული ასამბლეის არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი კენჭისყრამდე 60 დღით ადრე.[53] კამპანია იწყება კენჭისყრამდე 30 დღით ადრე[54] და წყდება 24 სთ-ით ადრე.[55] ამ პერიოდში იკრძალება აგიტაცია ზეპირად ან წერილობით, როგორც წინასაარჩევნო შეხვედრების, ისე სამაუწყებლო საშუალებების გამოყენებით.[56] ამ დარღვევისთვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა - ჯარიმა არანაკლებ 2 000 და არაუმეტეს 5 000 ბულგარული ლევის[57] ოდენობით (დაახლოებით 1022-დან 2560 ევრომდე). რეაგირებაზე პასუხისმგებელია საარჩევნო ადმინისტრაცია.[58]

კენჭისყრის დღეს, ხმის მიცემის დასრულებამდე, აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის მასალების გამოფენა უბანზე და **50 მეტრში** მისი შესასვლელიდან.[59] ამ აკრძალული ქვემდების ჩადენის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ თავად ჩამოხსნის მასალებს, აუცილებლობისას, შეუძლია, დაიხმაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.[60]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: საზოგადოებრივი აზრის კვლევა შესაძლებელია არჩევნების დანიშვნის შესახებ აქტის გამოცემიდან კენჭისყრის დღემდე.[61] თუმცა, კვლევის შედეგების გამოქვეყნება აკრძალულია არჩევნებამდე 24 სთ-დან უბნების დახურვამდე.[62] საჩივრებს იხილავენ ცენტრალური და რეგიონული

---

[53] Election Code of Bulgaria, Article 4.1, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/vsh9ves, განახლებულია: 14.01.2020.

[54] Ibid, Article 175.

[55] Ibid, Article 182, section 4.

[56] Ibid, Article 181, section 1.

[57] Ibid, Article 480, section 2.

[58] Ibid, Article 496.

[59] Ibid, Article 184, section 1.

[60] Ibid, article 184, section 2.

[61] Ibid, Article 205, section 1.

[62] Ibid, Article 205, section 4.

საარჩევნო კომისიები.[63] დარღვევის დადგენის შემთხვევაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა - ჯარიმა არანაკლებ 2 000 და არაუმეტეს 5 000 ბულგარული ლევის[64] ოდენობით (დაახლოებით 1022-დან 2560 ევრომდე).

ეგზიტპოლი არჩევნების დღეს შეიძლება ჩატარდეს უბნის გარეთ, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ხმის მიცემის პროცესს.[65] გამოკითხვის შედეგები უნდა გამოცხადდეს 20:00 საათის შემდეგ.[66] საჩივრებს იხილავენ ცენტრალური და რეგიონული საარჩევნო კომისიები.[67] დარღვევის დადგენის შემთხვევაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფორმა - ჯარიმა არანაკლებ 2 000 და არაუმეტეს 5 000 ბულგარული ლევის[68] ოდენობით (დაახლოებით 1022-დან 2560 ევრომდე).

უნგრეთი

სიჩუმის პერიოდი: უნგრეთში საარჩევნო კამპანია იწყება კენჭისყრამდე 50 დღით ადრე და გრძელდება კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის დასრულებამდე.[69] არჩევნების დღეს ნიშნავს პრეზიდენტი.[70] კამპანიისას შესაძლებელია გამოიყენონ პოსტერები, პოლიტიკური რეკლამები და ამომრჩევლებთან პირისპირ შეხვედრები. ეს უკანასკნელი აკრძალულია კენჭისყრის დღეს.[71]

კენჭისყრამდე 48 საათით ადრე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა

---

[63] OSCE/ODIHR Limited Election Observation Mission, Republic of Bulgaria, Early Parliamentary Elections, 26 March 2017 Interim Report (22 February – 8 March 2017), გვ. 7, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y8wbudjf, განახლებულია: 16.04.20.

[64] Election Code of Bulgaria, Article 475, section 1.

[65] Ibid, Article 204, section 1.

[66] Ibid, Article 204, section 3.

[67] OSCE/ODIHR Limited Election Observation Mission, Republic of Bulgaria, Early Parliamentary Elections, გვ. 7.

[68] Election Code of Bulgaria, Article 475, section 1.

[69] Act XXXVI of 2013 on Electoral Procedure (last modified by Act CCVII of 2013), Section 139, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.legislationline.org/documents/id/18702, განახლებულია: 16.01.2020.

[70] Constitution of Hungary, article 9, section 3, subsection “e”.

[71] Ibid, Section 145.1

(public service media)[72] და სხვა მედიასაშუალებებმა[73] ეთერში არ უნდა გადასცენ პოლიტიკური რეკლამები. ამ მოთხოვნების დარღვევის თაობაზე საჩივარს იხილავს ეროვნული საარჩევნო კომისია.[74] გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სანქციები მოიცავს როგორც კანონდარღვევის აღმოფხვრას,[75] ისე დაჯარიმებას,[76] რომლის მაქსიმალური ოდენობა შეიძლება იყოს მინიმალურ ხელფასზე[77] 50-ჯერ მეტი,[78] ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში - მინიმალურ ხელფასზე 5-ჯერ მეტი.[79]

კენჭისყრის დღეს იკრძალება საარჩევნო კამპანიის აქტივობები (ნებისმიერი ქმედება, რომლის მიზანიც ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედებაა) უბნის შენობის შესასვლელიდან **150 მეტრში.**[80] ქმედებაზე საჩივრებს იხილავს საარჩევნო კომისია.[81] მას შეუძლია, დამრღვევს მოსთხოვოს ქმედების შეწყვეტა, აგრეთვე, უფლება აქვს, გააუქმოს საარჩევნო პროცედურა ან ამ პროცედურის ნაწილი და მოითხოვოს მისი ხელახლა ჩატარება, თუ დარღვევა კენჭისყრის პროცესზე ახდენს გავლენას.[82] იგი უფლებამოსილია, პირს შეუფარდოს ადმინისტრაციული ჯარიმა.[83] ფიზიკური პირისთვის ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა შეიძლება იყოს მინიმალურ ხელფასზე 5-ჯერ მეტი, ხოლო სხვა შემთხვევებში - მინიმალურ ხელფასზე 15-ჯერ მეტი.[84]

---

[72] Ibid, Section 147.3.

[73] Ibid, Section 147. 4A.

[74] Ibid, Section 151, subsection 1.

[75] Ibid, Section 218, subsection 2.

[76] Ibid, Section 151, subsection 2.

[77] უნგრეთში მინიმალური ხელფასია 487.1 €. Hungary rises the national minimum wage, ხელმისაწვდომია: https://countryeconomy.com/national-minimum-wage/hungary, განახლებულია: 16.04.20.

[78] Act XXXVI of 2013 on Electoral Procedure (last modified by Act CCVII of 2013), Section 152, subsection 3.

[79] Ibid.

[80] Ibid, Section 143.

[81] Ibid, Section 218.

[82] Ibid, Section 218, subsection 2.

[83] Ibid.

[84] Ibid, Section 219, subsection 2.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: ეგზიტპოლის გამოკითხვა უნდა ჩატარდეს მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი დატოვებს საარჩევნო უბანს და ისე, რომ ამან მისი შევიწროება არ გამოიწვიოს.[85] შედეგები უნდა გამოქვეყნდეს მხოლოდ ხმის მიცემის დასრულების შემდგომ.[86] ფიზიკური პირისთვის ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა შეიძლება იყოს მინიმალურ ხელფასზე 5-ჯერ მეტი, ხოლო სხვა შემთხვევებში - მინიმალურ ხელფასზე 15-ჯერ მეტი.[87] საკითხს იხილავს საარჩევნო კომისია.[88]

მალტა

სიჩუმის პერიოდი: საარჩევნო კამპანია მალტაში, როგორც წესი, არჩევნებამდე 60 დღით ადრე იწყება და კენჭისყრამდე 24 სთ-ით ადრე მთავრდება.[89] კენჭისყრის დღის წინა დღეს და კენჭისყრის დღეს იკრძალება საჯარო შეხვედრების ან საჯარო დემონსტრაციების გამართვა.[90] ეს შეზღუდვა საარჩევნო უბანს და მის მიმდებარე ტერიტორიასაც მოიაზრებს. დამრღვევს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა არაუმეტეს 232 ევროსა და 94 ცენტისა.[91] ამავე პერიოდში იკრძალება საზოგადოებისთვის მიმართვა მედიის საშუალებით.[92] დამრღვევი დაჯარიმდება 1,164 ევროსა და 69 ცენტის ოდენობით, თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე ვადით, ან შეიძლება შეეფარდოს ორივე სანქცია ერთდროულად.[93] ამ სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს მაგისტრატი მოსამართლე.[94]

---

[85] Ibid, Section 150.

[86] Ibid.

[87] Ibid, Section 219, subsection 2.

[88] Ibid, Section 219, subsection 1.

[89] Republic of Malta, Early Parliamentary Elections 3 June 2017, OSCE/ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 9, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/malta/348671?download=true, განახლებულია: 03.04.20.

[90] General Elections Act of Malta, Article 65, მალტის სამართლებრივი სერვისების ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://justiceservices.gov.mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid=8824&l=1, განახლებულია: 03.04.20.

[91] Ibid, Article 111.

[92] Ibid, Article 114, section 1.

[93] Ibid.

[94] Ibid, Article 115, section 2.

ამომრჩევლის ნების კონტროლი: საარჩევნო უბნიდან **50 მეტრის** რადიუსში:

- აკრძალულია ამომრჩევლის გარდა სხვა პირების ყოფნა;[95]
- აკრძალულია პოლიტიკური პარტიის საქმიანობა;[96]
- საარჩევნო კომისიას ან პოლიციას შეუძლია, მოითხოვოს ნებისმიერი კლუბის, მაღაზიის ან სხვა საჯარო დაწესებულების დახურვა, თუ, მათი მოსაზრებით, ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ამომრჩეველზე ზეგავლენის პრევენციისთვის.[97]

დასახელებული შეზღუდვების გარდა, ხმის მიცემის პერიოდში, იმ ქუჩაზე, სკვერსა ან სხვა ადგილას, რომელიც ამომრჩეველმა მისი საცხოვრებლიდან კენჭისყრის უბნამდე უნდა გაიაროს, არ შეიძლება შეკრება იმ რაოდენობით ან ისეთი მანერით, რომ ამომრჩეველი დააშინოს ან ხელი შეუშალოს კენჭისყრის უბნამდე მისვლასა ან იქიდან წამოსვლაში, ან გამოიწვიოს მისი სიმშვიდის დარღვევა.[98]

პირს, რომელიც არ დაემორჩილება ამ წესებს, ან არ დაემორჩილება საარჩევნო კომისიონერის კანონიერ მოთხოვნას, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ზემოაღნიშნული ოდენობით.[99] ჩამოთვლილ სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს მაგისტრატი მოსამართლე.[100]

პოლონეთი

სიჩუმის პერიოდი: არჩევნების თარიღს ნიშნავს პრეზიდენტი ლეგისლატურის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 90-ე დღისა.[101] კამპანია იწყება არჩევნების თარიღის გამოქვეყნე-

[95] General Elections Act of Malta, Article 66.

[96] Ibid, Article 66.

[97] Ibid, Article 66.

[98] Ibid, Article 67.

[99] Ibid, Article 111.

[100] Ibid, Article 115, section 2.

[101] Constitution of Poland, article 98, section 2, Constitute Project-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.constituteproject.org/constitution/Poland_2009?lang=en, განახლებულია: 10.04.20.

ბის შემდეგ და სრულდება კენჭისყრის დღემდე 24 საათით ადრე.[102] ამის შემდეგ აკრძალულია,[103] მათ შორის, შეხვედრების ჩატარება, მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზება, სიტყვით გამოსვლა და მასალების გავრცელება.[104] ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს დაჯარიმებას,[105] რაც სისხლის სამართლის პროცედურებით განიხილება.[106]

იკრძალება საარჩევნო კამპანიის აქტივობები კენჭისყრის უბნის შენობაში და მის მიმდებარედ.[107] დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა,[108] რომელიც პირს დაეკისრება სისხლის სამართლის წესით.[109]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: კენჭისყრის დაწყებამდე 24 საათიდან ხმის მიცემის დასრულებამდე აკრძალულია წინასაარჩევნო გამოკითხვის შედეგების გავრცელება.[110] ამ ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, დაჯარიმებას 500 ათასიდან 1 მილიონ ზლოტამდე[111] (109 000-დან 750 000 ევრომდე).

არჩევნების დღეს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების გავრცელება აკრძალულია საარჩევნო დღის დასრულებამდე.[112] დარღვევისთვის იგივე პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, რაც წინა შემთხვევაში.[113]

---

[102] Election Code of Poland, Act of January, 2011, Journal of Laws 31 January, 2011, article 104, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/thnmr7y, განახლებულია: 14.01.2020.

[103] Ibid, Article 107.1

[104] Ibid, Article 107.2.

[105] Ibid, Article 498.

[106] Ibid, Article 516.

[107] Election Code of Poland, Act of January, 2011, Journal of Laws 31 January, 2011, article 107, section 2.

[108] Ibid, Article 494, section 1, subsection 4.

[109] Ibid, Article 516.

[110] Ibid, Article 115.1

[111] Ibid, Article 500.

[112] Election Code of Poland, Act of January, 2011, Journal of Laws 31 January, 2011, article 115, section 1.

[113] Ibid, Article 500.

საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულებას ზედამხედველობს ეროვნული საარჩევნო კომისია.[114]

საბერძნეთი

სიჩუმის პერიოდი: კამპანია იწყება პარლამენტის ვადის ამოწურვამდე 12 დღით ადრე.[115] არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი და ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების დასრულებიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა.[116]

კენჭისყრის წინა დღეს აკრძალულია საარჩევნო აქტივობები,[117] მათ შორის, სიტყვით გამოსვლა, პოსტერების განთავსება, გამოცემების დარიგება, საარჩევნო შეტყობინებების გავრცელება.[118] ვინც კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის მიმდებარედ რამე ფორმით მოქმედებს კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, შეიძლება დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, 3 თვიდან 3 წლამდე პატიმრობით და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით.[119]

არჩევნების დღეს და არჩევნების წინა დღეს აკრძალულია **მედიით** საარჩევნო მესიჯების გადაცემა.[120] დარღვევისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ჯარიმა.[121]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: არჩევნების დღის 19:00 საათამდე არ შეიძლება იმ ამომრჩევლის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება ან რამე ფორმით გადაცემა, რომელმაც

---

[114] Republic of Poland, Parliamentary Elections, 13 October 2019 ODIHR Limited Election Observation Mission Final Report, გვ. 7, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yb2rdayw, განახლებულია: 24.04.20.

[115] Presidential Decree 96/2007. Codification is a single text of the legislation for the election of Members of Parliament, Article 31, section 3, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/qwczvta, განახლებულია: 16.01.2020.

[116] Constitution of Greece, Article 53, section 1, Constitute Project-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.constituteproject.org/constitution/Greece_2008?lang=en, განახლებულია: 20.04.20.

[117] Presidential Decree 96/2007. Codification is a single text of the legislation for the election of Members of Parliament, Article 48, section 2.

[118] Ibid, Article 48.2

[119] Ibid, Article 117. 4c.

[120] Ibid, Article 45, section 3.

[121] Ibid, Article 119, section 3.

ხმა მისცა.[122] დარღვევა ისჯება სისხლის სამართლის წესით, პატიმრობით - სულ მცირე, 6 თვით და ჯარიმით - 29 347-დან 293 470 ევრომდე.[123]

არჩევნებამდე 15 დღიდან კენჭისყრის დღის 19:00 საათამდე საჯარო და კერძო ტელევიზიას და რადიოს, ფასიან ტელევიზიას და რადიომომსახურების პროვაიდერებს, გაზეთებს და ჟურნალებს, პოლიტიკურ პარტიებს და კანდიდატებს ეკრძალებათ, მედიით გაავრცელონ ან გამოაქვეყნონ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ჩატარდა პოლიტიკურ ტრენდებზე, მოსაზრებებსა და საზოგადოების პრეფერენციებზე, პოლიტიკურ პარტიებზე, პოლიტიკურ პოზიციებზე, პერსონებსა ან სხვა ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.[124] დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, პატიმრობა - სულ მცირე, 6 თვით და ჯარიმა - 29 347-დან 293 470 ევრომდე.[125]

ლიტვა

სიჩუმის პერიოდი: არჩევნების თარიღს აცხადებს პრეზიდენტი სეიმის უფლებამოსილების ამოწურვამდე არაუგვიანეს 6 თვისა.[126] კენჭისყრის დაწყებამდე 30 საათით ადრე და არჩევნების დღეს ხმის მიცემის დასრულებამდე იკრძალება საარჩევნო კამპანია ნებისმიერი ფორმის და მეთოდის გამოყენებით.[127] თუმცა, საარჩევნო ბილბორდები რჩება ადგილზე.[128] დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა ან თავისუფლების

[122] Ibid, Article 49.2.

[123] Ibid, Article 49.4.

[124] Ibid, Article 49.1.

[125] Ibid, Article 49.4.

[126] Law on Elections on the Seimas, Republic of Lithuania. Article 6, section 2, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/r84tycd, განახლებულია: 14.01.2020.

[127] Ibid, Article 56, section 1.

[128] Republic of Lithuania, Parliamentary Elections, 9 October 2016 OSCE/ODIHR Needs Assessment Mission Report, გვ. 8, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/r82tdjs, განახლებულია: 08.04.20.

აღკვეთა 4 წლამდე ვადით.[129]

მედია ვალდებულია, დაიცვას სიჩუმის პერიოდი.[130] მის მიერ ამ ნორმათა დარღვევას შეისწავლიან ცენტრალური საარჩევნო და საოლქო კომისიები.[131] მათი დასკვნა წარედგინება საოლქო სასამართლოს.[132]

კამპანიის აკრძალვის პერიოდში არ შეიძლება ვიზუალური და აუდიო საარჩევნო მასალების გამოფენა უბანზე ან უბნის შენობის გარშემო **50 მეტრში.**[133] ადმინისტრაციული წესით სანქციის დაკისრების საკითხს იხილავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.[134]

ლატვია

სიჩუმის პერიოდი: წინასაარჩევნო კამპანია იწყება კენჭისყრამდე 120 დღით ადრე.[135] არჩევნების დღეს და არჩევნების წინა დღეს დაუშვებელია კამპანიის წარმოება.[136] ამ დროს აკრძალულია მასალების განთავსება რადიოპროგრამებსა და მაუწყებლობებში.[137] გამონაკლისია ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური პარტიის მიტინგსა და ამომრჩეველთან კანდიდატის შეხვედრაზე.[138] არჩევნების დღეს, ასევე 30 დღით ადრე არჩევნების დღემდე, აკრძალულია ფასიანი წინასაარჩევნო კამპანიის მასალების განთავსება რადიო და სატელევიზიო პროგრამებში, დასახელებული გამონაკლისების

---

[129] Criminal Code of Republic of Lithuania, article 172, section 1, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/tjbbx5j, განახლებულია: 04.04.20.

[130] Republic of Lithuania, Parliamentary Elections, 9 October 2016 OSCE/ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 15.

[131] Ibid, გვ. 9.

[132] Ibid.

[133] Republic of Lithuania, Law on Elections to the Seimas. Article 56, section 1, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/r84tycd, განახლებულია: 08.04.20.

[134] Ibid, Article 51, section 13.

[135] Pre-election Campaign Law, Republic of Latvia. Section 1, ლატვიის სამართლებრივი აქტები, ხელმისაწვდომია: https://likumi.lv/ta/en/en/id/253543-pre-election-campaign-law, განახლებულია: 08.04.20.

[136] Ibid, Section 32, subsection1.

[137] Ibid.

[138] Ibid.

გარდა.[139] არჩევნების დღეს, ასევე 60 დღით ადრე არჩევნების დღემდე, ელექტრონულ მედიას ეკრძალება იმ გადაცემებისა თუ ინტერვიუების გაშვება, რომლებიც მომზადებულია (ან რომლის წამყვანიც არის) არჩევნებში კანდიდატად ნომინირებული ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირის მიერ.[140]

არჩევნების დღეს საუბნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, არ დაუშვას კამპანიის ჩატარება **50 მეტრში** იმ შენობიდან, სადაც უბანია განთავსებული.[141]

ზემოთ ჩამოთვლილი ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კერძოდ, გაფრთხილება ან ჯარიმა 70 ევრომდე - ფიზიკური პირისთვის, ხოლო 2000 ევრომდე - იურიდიული პირისთვის.[142]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: არჩევნებამდე 24 საათით ადრე, ასევე არჩევნების დღეს კენჭისყრის დასრულებამდე, აკრძალულია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება.[143] ამ ნორმების დარღვევისთვის იგივე პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, რაც წინა შემთხვევაში.[144]

---

[139] Republic of Latvia, Parliamentary Elections, 6 October 2018, ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 11. ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/latvia/409344?download=true, განახლებულია: 04.04.20.

[140] Pre-election Campaign Law, Republic of Latvia. Article 12, section 6.

[141] The Saeima Election Law, Article 19, section 1, 06 June 1995, ლატვიის სამართლებრივი აქტები, ხელმისაწვდომია: https://likumi.lv/doc.php?id=35261, განახლებულია: 08.04.20.

[142] Latvian Code of Administrative Violations, Article 204^2, section 1, ლატვიის სამართლებრივი აქტები, ხელმისაწვდომია მხოლოდ ლატვიურ ენაზე: https://likumi.lv/ta/id/89648-latvijas-administrativo-parkapumu-kodekss, განახლებულია: 04.04.20. შენიშვნა: მოქმედი კოდექსი ძალაშია 2020 წლის პირველ ივლისამდე.

[143] Republic of Latvia, Parliamentary elections, 6 October 2018 ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 11.

[144] Latvian Code of Administrative Violations, Article 204^2, section 1.

ესტონეთი

სიჩუმის პერიოდი: პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს, სულ მცირე, 3 თვით ადრე კენჭისყრის დღემდე.[145] კამპანია იწყება არჩევნებამდე 45 დღით ადრე და სრულდება კენჭისყრამდე ერთი დღით ადრე.[146] უბანზე აკრძალულია საარჩევნო კამპანიის წარმართვა.[147] დარღვევისთვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა - ჯარიმა 400 ევრომდე.[148]

სლოვენია

სიჩუმის პერიოდი: კამპანია იწყება კენჭისყრამდე არაუადრეს 30 დღისა[149] და უნდა დასრულდეს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 24 საათისა.[150] დარღვევა ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას: კამპანიის ორგანიზატორისთვის - ჯარიმას 800-დან 1200 ევრომდე,[151] წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზებაზე პასუხის-

---

[145] Riigikogu Election Act, Article 2, section 2, ესტონეთის საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/Riigikogu/act/513012020003/consolide, განახლებულია: 16.02.2020.

[146] Estonia Parliamentary Elections, 3 March 2019 ODIHR Needs Assessment Report, გვ. 7, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/estonia/409202?download=true, განახლებულია: 20.04.20.

[147] Riigikogu Election Act. Article 5, section 3.

[148] Penal Code of Estonia, Article 168, section 1. კოდექსში წერია, რომ ჯარიმის ოდენობაა 100 ჯარიმის ერთეული. თუმცა კოდექსითვე განმარტებულია, რომ 1 ჯარიმის ერთეული უდრის 4 ევროს. იხ. Article 47, section 1, ესტონეთის საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://www.riigiteataja.ee/en/eli/522012015002/consolide, განახლებულია: 04.04.20.

[149] Zakon o volilni in referendumski kampanji (ZVRK), 2. Člen, ხელმისაწვდომია მხოლოდ სლოვენურ ენაზე ბოლო განახლებით, სლოვენიის სამართლებრივი ინფორმაციის სისტემა, ხელმისაწვდომია: http://www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO4749#, განახლებულია: 08.04.20.

[150] Ibid.

[151] Ibid, 32.1. Člen.

მგებელი პირისთვის[152] - 150-დან 300 ევრომდე,[153] ხოლო მოქალაქისთვის - 120-დან 200 ევრომდე.[154]

სიჩუმის პერიოდში აკრძალულია ახალი პოსტერების გაკვრა ან განთავსება.[155] წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით, ჯარიმის სახით, 700-დან 1000 ევრომდე,[156] ხოლო საარჩევნო კამპანიის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირს და მოქალაქეს - 150-დან 200 ევრომდე.[157]

პოლიცია ზედამხედველობს ამ წესების იმპლემენტაციას.[158]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: აკრძალულია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება არჩევნებამდე 24 საათით ადრე და კენჭისყრის დღეს უბნების დახურვამდე.[159] ამ ნორმის დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას - მედიის დაჯარიმებას 350-დან 650 ევრომდე.[160]

---

[152] კანონის მიზნებისთვის, თუ წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზატორი არის ფიზიკური პირი, მაშინ იგი აგრეთვე იქნება „პასუხისმგებელი პირიც“. თუმცა, თუ კამპანიის ორგანიზატორია იურიდიული პირი, მაგალითად, პოლიტიკური პარტია, მაშინ ამ ორგანიზაციიდან უნდა განისაზღვროს კამპანიის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი. სლოვენიის საჯარო ადმინისტრირების სამინისტროს 2020 წლის 5 მაისის წერილი ელფოსტის მეშვეობით.

[153] Zakon o volilni in referendumski kampanji (ZVRK), 32.2. Člen.

[154] Ibid, 32.3. Člen.

[155] Ibid, 10.2 Člen.

[156] Ibid, 33.1. Člen.

[157] Ibid, 33.3 Člen.

[158] Ibid, 40.1 Člen.

[159] Zakon o volilni in referendumski kampanji (ZVRK), 5. Člen.

[160] Ibid, 35 Člen.

პორტუგალია

სიჩუმის პერიოდი: კამპანია იწყება კენჭისყრის დღემდე 14 დღით ადრე და სრულდება არჩევნების წინა დღის შუაღამეს.[161] არჩევნების დღეს და არჩევნების წინა დღეს იკრძალება საარჩევნო აგიტაცია,[162] ე.ი. ნებისმიერი მოქმედება, რომლის მიზანია, პირდაპირ ან ირიბად წარმოაჩინოს კანდიდატები, პოლიტიკური პარტიები და მათი წევრები.[163] აკრძალვა ასევე ეხება აგიტაციას ინტერნეტის საშუალებით.[164] ის, ვინც ამ დროს ნებისმიერი ფორმით ჩაერთვება პროპაგანდაში, დაისჯება 6 თვემდე პატიმრობით და ჯარიმით 500-დან 5000 ესკუდომდე[165] (დაახლოებით 2,49-დან 24,94 ევრომდე).

საარჩევნო უბნიდან **500 მეტრის** მანძილზე იკრძალება ყველა სახის პროპაგანდა, რაც გულისხმობს სიმბოლოების, ინიციალების, ნიშნების, ბეჯების ან ნებისმიერი სახის სტიკერების გამოფენას, გაკვრას.[166] ასევე, არავის აქვს უფლება, საარჩევნო უბნამდე 500 მეტრის მანძილზე საჯაროდ განაცხადოს, ვის მისცა ან მისცემს ხმას.[167] დამრღვევი დაისჯება 6 თვემდე პატიმრობით და ჯარიმით 1000-დან 10 000 ესკუდომდე[168] (დაახლოებით 4,99-დან 49,88 ევრომდე).

არჩევნების დღეს მედიას უფლება აქვს, გადაიღოს საარჩევნო უბანი,[169] თუმცა მოპოვებული მასალის გავრცელება შეუძლია მხოლოდ ყველა უბნის დახურვის შემდგომ.[170] არჩევნების პერიოდში აკრძა-

---

[161] Law Governing Elections of the Republic, Law governing Elections to the Assembly of the Republic, Portugal, 1979 May 16, Article 53, Legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y8h72k82, განახლებულია: 14.01.2020.

[162] Ibid, Article 141.2.

[163] Ibid, Article 61.

[164] Portugal Parliamentary Elections, 6 October 2019 ODIHR Needs Assessment Report, გვ. 7, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yblmvo5e, განახლებულია: 30.04.20.

[165] Law Governing Elections of the Republic, Law governing Elections to the Assembly of the Republic, Portugal, 1979 May 16, Article 141, section 1.

[166] Ibid, Article 92.

[167] Ibid, Article 82.

[168] Ibid, Article 141, section 2.

[169] Ibid, Article 93, section 2.

[170] Ibid, Article 93, section 4.

ლულია მედიისთვის ნებისმიერი სანქციის დაწესება.[171] თუ მისი ქმედებები იწვევს რაიმე ტიპის პასუხისმგებლობას, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს არჩევნების დასრულების შემდგომ.[172] დასახელებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მედიასაშუალება დაჯარიმდება 1-დან 10 000 ესკუდომდე[173] (დაახლოებით, 9-დან 90 ევრომდე). პასუხისმგებლობის დაწესების საკითხს იხილავს ეროვნული საარჩევნო კომისია.[174]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება აკრძალულია საარჩევნო კამპანიის დასრულებიდან უბნების დახურვამდე.[175] ეგზიტპოლის ჩატარება შეუძლია მხოლოდ სპეციალურად აკრედიტებულ ჟურნალისტს უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე.[176] ამ ნორმების დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებს იხილავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.[177] გათვალისწინებულია სანქცია 1-დან 10 მილიონ ესკუდომდე ფიზიკური პირისთვის (9 051-დან 90 511 ევრომდე), ხოლო 5-დან 50 მილიონ ესკუდომდე - იურიდიული პირისთვის (45 255-დან 452 556 ევრომდე).[178]

---

[171] Ibid, Article 58, section 2.

[172] Ibid.

[173] Ibid, Article 168.

[174] Portugal Parliamentary Elections, 4 October 2015 OSCE/ODIHR Needs Assessment Mission Report, გვ. 8, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y8cb3jnk, განახლებულია: 05.05.20.

[175] Lei n.º 10/2000 de 21 de Junho, Regime jurídico da publicação ou difusão de sondagens e inquéritos de opinião, Artigo 10, პორტუგალიის სოციალური კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.erc.pt/pt/fs/lei-n-102000, განახლებულია: 20.04.20.

[176] Ibid, Artigo 11.

[177] Ibid, Artigo 13.

[178] Ibid, Artigo 17.

რუმინეთი

სიჩუმის პერიოდი: არჩევნების დღე ინიშნება მთავრობის გადაწყვეტილებით, სულ მცირე, 90 დღით ადრე კენჭისყრამდე.[179] კამპანია უნდა დაიწყოს 30 დღით ადრე არჩევნებამდე[180] და დასრულდეს 24 საათით ადრე ხმის მიცემის დაწყებამდე.[181] კამპანიის ოფიციალურად დასრულების შემდგომ მისი გაგრძელება არის მცირედი გადაცდომა (minor offence),[182] რისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა 1000-დან 2500 ლეიმდე[183] (დაახლოებით, 207-დან 518 ევრომდე). სამართალდამრღვევს სანქციას შეუფარდებს პოლიციელი.[184]

აგიტაცია საარჩევნო უბანზე: საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის კომპეტენცია ვრცელდება კენჭისყრის შენობის გარშემო **500 მეტრში.**[185] ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენა, კონკრეტული პარტიისთვის ხმის მიცემის ან მისგან თავის შეკავების მიზნით, დასჯადია.[186] ეს ქმედება წარმოადგენს მცირედ გადაცდომას (minor offence), რისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა 1000-დან 2500 ლეიმდე[187] (დაახლოებით, 207-დან 518 ევრომდე). დამრღვევს სანქციას შეუფარდებს შესაბამისი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი.[188]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: არჩევნების დღემდე 48 საათით ადრე იკრძალება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, სატელევიზიო ხმის მიცემის ან ქუჩის გამოკითხვის შე-

---

[179] Law o. 35* of 13 March 2008 for the election to the Chamber of Deputies and the Senate and for the amendment and completion of Law o. 67/2004 for the election of local public administration authorities, of Law o. 215/2001 on the local public administration, and of Law o. 393/2004 on the Statute of local electees, Article 7, section 1, Legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y6wuns9w, განახლებულია: 04.04.20.

[180] Ibid, Article 7, section 2.

[181] Ibid, Article 7, section 2.

[182] Ibid, Article 50, section “o”.

[183] Ibid, Article 51, section 1.

[184] Ibid, Article 51. Section 2 a.

[185] Ibid, Article 41, Section 10.

[186] Ibid, Article 50, section “o”.

[187] Ibid, Article 51. 1.

[188] Ibid, Article 51, section 2 b.

დეგების გამოქვეყნება.[189] ეს ქმედება წარმოადგენს მცირედ გადაცდომას, რომელიც ისჯება ჯარიმით - 4 500-დან 10 000 ლეიმდე[190] (დაახლოებით, 930-დან 2068 ევრომდე). დამრღვევს სანქციას შეუფარდებს აუდიოვიზუალიზაციის ეროვნული საბჭო.[191]

საარჩევნო უბნების დახურვამდე აკრძალულია ეგზიტპოლების შედეგების გამოქვეყნება.[192]

ესპანეთი

სიჩუმის პერიოდი: არჩევნები ინიშნება სამეფო დეკრეტით.[193] იგი ტარდება მოქმედი კონგრესის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 30-ე და არაუგვიანეს მე-60 დღეს.[194] კამპანია იწყება არჩევნების გამოცხადებიდან 38-ე დღეს[195] და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 15 დღეს.[196] საარჩევნო კამპანია უნდა დასრულდეს კენჭისყრის დღის წინა დღეს 00:00 საათზე.[197]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: საზოგადოებრივი აზრის კვლევა შეიძლება დაიწყოს არჩევნების დანიშვნის დღიდან.[198] თუმცა, არჩევნებამდე 5 დღით ადრე აკრძალულია მისი გავრცელება ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით.[199] პროცესის ზედამხედველობას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო

---

[189] Ibid, Article 38, section 3.

[190] Ibid, Article 51, section 1.

[191] Ibid, Article 51, section 2 g.

[192] Ibid, Article 38², section 2.

[193] Ley Orgánica 5/1985, de 19 de junio, del Régimen Electoral General, Artículo ciento sesenta y siete, ესპანეთის საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-1985-11672&p=20190625&tn=0, განახლებულია: 21.04.20.

[194] Constitution of Spain, section 68, paragraph 6, Constitute Project-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y9a3p2ft, განახლებულია: 21.04.20.

[195] The Electoral Law of General Electoral Regime of Spain, Article 51.1, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.legislationline.org/documents/action/popup/id/21440, განახლებულია: 14.01.2020.

[196] Ibid, Article 51.2

[197] Ibid, Article 51.3

[198] Ley Orgánica 5/1985, de 19 de junio, del Régimen Electoral General, Artículo 69, sección 1.

[199] Ibid, Artículo 69, sección 7.

კომიტეტი.[200] ამ ნორმების დარღვევა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თავისუფლების აღკვეთას - 3 თვიდან 1 წლამდე, ჯარიმას - 12-დან 24 თვემდე.[201]

ავსტრია

სიჩუმის პერიოდი: არჩევნები ინიშნება ფედერალური მთავრობის დეკრეტის საფუძველზე კენჭისყრამდე 28 დღით ადრე.[202] ავსტრია დეტალურად არ არეგულირებს საარჩევნო კამპანიის წესებს.[203] ის შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ დროს[204] და გაგრძელდეს არჩევნების დღესაც.[205] შესაბამისად, ავსტრიაში სიჩუმის პერიოდი არ მოქმედებს ისეთი ფორმით, როგორც სხვა ქვეყნებშია.

არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე და მისგან კონკრეტულ მანძილზე (რადიუსში, რომელსაც განსაზღვრავს მუნიციპალური საარჩევნო ორგანო[206]) აკრძალულია ყველა სახის კამპანია.[207] მათ შორის, იკრძალება საჯარო შეტყობინებების გამოფენა, საარჩევნო

[200] Ibid, Artículo 69, sección 2.

[201] Ley Orgánica 10/1995, de 23 de noviembre, del Código Penal, Artículo 145, ესპანეთის საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://www.boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-1995-25444, განახლებულია: 06.04.20.

[202] Federal Law on National Council Elections, 1992. Section 1, para 1 (2), legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y7duwm2j, განახლებულია: 16.01.2020.

[203] Republic of Austria, Early Parliamentary Elections, 15 October 2017, OSCE/ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 9, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/austria/370866?download=true, განახლებულია: 06.04.20.

[204] Ibid.

[205] Republic of Austria, Early Parliamentary Elections, 29 September 2019 ODIHR Needs Assessment Mission Report, გვ. 8, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/austria/429095?download=true, განახლებულია: 06.04.20.

[206] კანონში მუნიციპალური საარჩევნო ორგანო განმარტებულია, როგორც დაწესებულება, რომელშიც შედის მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ დანიშნული წარმომადგენელი, აგრეთვე, არჩევნების მენეჯერი იმ უბანში და 9 ასისტენტი. არჩევნების მენეჯერი განმარტებულია, როგორც პირი, რომელიც პასუხისმგებელია არჩევნების ჩატარებაზე კონკრეტულ ოლქში და ფორმალურად აცხადებს შედეგებს. Federal Law on National Council Elections, 1992, Section 8, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y7duwm2j, განახლებულია: 05.05.2020.

[207] Ibid. Section 58, subsection 1.

პროპაგანდა, კანდიდატების სიების გავრცელება.[208] აღნიშნული ქმედების გამო გათვალისწინებულია სანქცია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით - 218 ევროს ოდენობით, ხოლო მისი გადაუხდელობის შემთხვევაში - 2 კვირამდე პატიმრობა.[209] დარღვევის შესწავლაზე პასუხისმგებელია ოლქის კომისია.[210]

ამომრჩევლის ნების კონტროლი: არჩევნების დღეს აკრძალულია თავშეყრა საარჩევნო უბნის მიმდებარედ.[211] რადიუსს აქაც მუნიციპალური საარჩევნო ორგანო განსაზღვრავს. პასუხისმგებლობა იგივეა, რაც წინა შემთხვევაში.[212] დარღვევის შესწავლაზე პასუხისმგებელია ოლქის კომისია.[213]

სლოვაკეთი

სიჩუმის პერიოდი: ეროვნული საბჭოს არჩევნებს ნიშნავს მისი თავმჯდომარე არჩევნებამდე არაუგვიანეს 110-ე დღისა.[214] ოფიციალური საარჩევნო კამპანია სწორედ არჩევნების დანიშვნის აქტის გამოქვეყნების შემდგომ იწყება და სრულდება არჩევნებამდე 48 საათით ადრე.[215] ბეჭდური მედიის მიერ სიჩუმის პერიოდის დარღვევის საკითხს იხილავს კულტურის სამინისტრო.[216] კანონდარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს მცირედ

---

[208] Ibid.

[209] Ibid, Section 58, subsection 3.

[210] Ibid.

[211] Ibid, Section 58, subsection 1.

[212] Ibid, Section 58, subsection 3.

[213] Ibid.

[214] 180/2014 Z.z. ZÁKON, o podmienkach výkonu volebného práva a o zmene a doplnení niektorých zákonov, článok 56, časť 1, ხელმისაწვდომია მხოლოდ სლოვაკურ ენაზე, სლოვაკეთის სამართლებრივი ინფორმაციის ავტომატიზირებული სისტემა, ხელმისაწვდომია: https://www.noveaspi.sk/products/lawText/1/82251/1/2, განახლებულია: 06.04.20.

[215] Slovakia, Parliamentary Elections, 5 March 2016: Needs Assessment Mission Report, გვ. 6, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/220776?download=true, განახლებულია: 06.04.20.

[216] Slovak Republic Presidential Election, 16 and 30 March 2019 ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 13, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/slovakia/426149?download=true, განახლებულია: 01.05.20.

გადაცდომას (minor offence),[217] მედიას შეეფარდება ჯარიმა 1000-დან 10 000 ევრომდე.[218]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: 14 დღით ადრე მედიას ეკრძალება საზოგადოებრივი აზრის შედეგების გამოქვეყნება.[219] ამ პროცესს აკონტროლებს სამაუწყებლო საბჭო, რომელსაც ადმინისტრაციული სანქციების[220] დაწესება შეუძლია.[221]

ჩეხეთი

სიჩუმის პერიოდი: არჩევნების თარიღს ნიშნავს პრეზიდენტი,[222] პალატების უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30-ე დღისა.[223] კამპანია იწყება ამ დღეს და სრულდება საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისთანავე.[224] შესაბამისად, სიჩუმის პერიოდი ჩეხეთში დადგენილი არ არის.[225]

---

[217] Act 300/2005 Coll, of 20 May 2005 Criminal Code of Slovakia, Section 10, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ycwgafpz, განახლებულია: 05.05.20.

[218] Ibid.

[219] Slovak Republic Parliamentary Elections, 5 March 2016 OSCE/ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 13, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/slovakia/235591?download=true, განახლებულია: 09.04.20.

[220] კანონით გათვალისწინებულია შემდეგი სახის სანქციები: გაფრთხილება, სატელევიზიო პროგრამის გაშვების აკრძალვა, დაჯარიმება ან სამაუწყებლო ლიცენზიის გაუქმება. 308/2000 Z.z. ZÁKON, o vysielaní a retransmisii a o zmene zákona č. 195/2000 Z.z.o telekomunikáciách, článok 64, časť 1, სლოვაკეთის სამართლებრივი ინფორმაციის ავტომატიზირებული სისტემა, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/rp9s2nc, განახლებულია: 09.04.20.

[221] Ibid, článok 5, časť 1 (h).

[222] Constitution of Czech Republic, Article 63, section 1, subsection f, Constitute Project-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.constituteproject.org/constitution/Czech_Republic_2013?lang=en, განახლებულია: 06.04.20.

[223] Ibid, Article 17, section 1.

[224] Act No. 275 of 27 September 1995 on Elections to the Parliament of the Czech Republic. Act No 275 of 27 September 1995. Section 16.3, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/wnhslgl, განახლებულია: 06.04.20.

[225] Czech Republic, Parliamentary Elections 20-21 October, 2017, Presidential Elections, January 2018, OSCE/ODIHR Needs Assessment Mission Report, 5-7 June, 2017, გვ. 8, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/czech-republic/333691?download=true, განახლებულია: 06.04.20.

არჩევნების დღეს აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია კენჭისყრის შენობების **უშუალო სიახლოვეს** (in their immediate vicinity).[226] საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს აკისრია პასუხისმგებლობა საარჩევნო უბანსა და მის შემოგარენში წესრიგის დაცვაზე. ამასთან დაკავშირებით მისი ბრძანება სავალდებულოა იქ დამსწრე პირებისთვის.[227]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: აკრძალულია საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნება არჩევნებამდე ბოლო 3 დღის განმავლობაში, აგრეთვე, კენჭისყრის დღეს.[228] ამ მოთხოვნის[229] დარღვევა იწვევს დაჯარიმებას ადმინისტრაციული წესით 10 000-დან 100 000-მდე ჩეხური კრონით[230] (დაახლოებით 362-დან 3630-მდე ევრო). დარღვევის შემთხვევაში მედიას ჯარიმას შეუფარდებს რადიო და ტელემაუწყებლობის საბჭო.[231]

გერმანია

სიჩუმის პერიოდი: პრეზიდენტი განსაზღვრავს არჩევნების დღეს.[232] არჩევნები ტარდება ბუნდესტაგის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუადრეს 46-ე და არაუგვიანეს 48-ე დღისა.[233] ოფიციალური კამპანიის პერიოდი დადგენილი არ არის და პარტიებს არჩევნებამდე ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ კამპანიის წარმოება.[234] კანდიდატთა რეგისტრაცია ხდება არჩევნებამდე არაუგვიანეს 69-ე დღის

[226] Act No. 275 of 27 September 1995 on Elections to the Parliament of the Czech Republic and on the Amendment of Certain Other Laws, Section 16, Para 9.

[227] Ibid, Section 20.

[228] Ibid.

[229] Ibid, Section 16g, subsection 1, e.

[230] Ibid, Section 16g, subsection 4.

[231] Czech Republic Parliamentary and Presidential Elections, 2017-2018 OSCE/ODIHR Needs Assessment Mission Report, გვ. 10, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y82o7y6g, განახლებულია: 01.05.20.

[232] Federal Elections Act of Germany, Section 16, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/qrp8ylz, განახლებულია: 14.01.2020.

[233] Basic law of Germany, Article 39, section 1, Constitute Project-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/srx7tob, განახლებულია: 07.04.20.

[234] Federal Republic of Germany, Elections to the Federal Parliament (Bundestag), 24 September, 2017, OSCE/ODIHR Election Expert Team Final Report, გვ. 4, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/wv798kj, განახლებულია: 07.04.20.

საღამოს 6 საათისა.[235] პრაქტიკაში, სწორედ ამის მერე იწყება საარჩევნო კამპანია.[236]

ხმის მიცემის საათებში არ შეიძლება ზეგავლენის მოხდენა ამომრჩევლებზე სიტყვით, ჟღერადობით, წერილობით ან სურათით, მათი ხელმოწერების შეგროვება საუბნო კომისიების **შენობების წინ და მათ გარშემო.**[237]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: დაუშვებელია ხმის მიცემის შემდეგ გამოკითხული ამომრჩევლის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება ხმის მიცემის დასრულებამდე.[238] ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას 50 000 ევრომდე.[239] დაჯარიმებაზე უფლებამოსილი პირია ფედერალური ოფიცერი.[240]

ხორვატია

სიჩუმის პერიოდი: არჩევნები ინიშნება პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე და ტარდება ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არაუადრეს 30 დღისა.[241] არაუგვიანეს 14 დღისა კი ქვეყნდება კანდიდატთა სია.[242] ამ დღიდან იწყება საარჩევნო კამპანია და სრულდება კენჭისყრის დღემდე 24 საათით ადრე.[243] ამ დროიდან, არჩევნების დღეს უბნების დახურვამდე, იკრძალება კამპანიის მასალების, კანდიდატების განცხადებებისა და ინტერვიუების **მედიით** გავრცელება.[244] მედიის მიერ კანონის მოთხოვნების დარღვევა გა-

---

[235] Federal Elections Act of Germany, Section 19.

[236] Federal Republic of Germany, Elections to the Federal Parliament (Bundestag), 24 September, 2017, OSCE/ODIHR Election Expert Team Final Report, გვ. 4.

[237] Federal Elections Act of Germany, Section 32.

[238] Ibid. Section 32, subsection 2.

[239] Ibid, Section 49a, subsection 2.

[240] Ibid, Section 49a, subsection 3 (2).

[241] Croatian Parliamentary Elections Act, Act 2003, June 9 2015, Article 5, legislationonline-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/senkn2g, განახლებულია: 07.04.2020.

[242] Ibid, Article 22.1.

[243] Ibid. Article 28.

[244] Ibid.

მოიწვევს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას 130 000 ევრომდე ან ლიცენზიის გაუქმებას.[245] პროცესის ზედამხედველობას უზრუნველყოფს ელექტრონული მედიის სააგენტო.[246]

საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ეგზიტპოლი: არჩევნების დღეს უბნების დახურვამდე იკრძალება მედიაში წინასწარი არაოფიციალური შედეგების გამოქვეყნება.[247] პასუხისმგებლობის ზომა[248] და ზედამხედველი ორგანო იგივეა, რაც წინა შემთხვევაში.[249]

[245] Republic of Croatia, Parliamentary Elections, 8 November 2015, OSCE/ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 13, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/t6ng7gt, განახლებულია: 08.04.20.

[246] Ibid.

[247] Croatian Parliamentary Elections Act 2003, June 9 2015. Article 28.

[248] Republic of Croatia, Parliamentary Elections, 8 November 2015, OSCE/ODIHR Election Assessment Mission Final Report, გვ. 13.

[249] Ibid.